№ 266

პარასკევი, 10 დეკემბერი, 1899 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899


# ივერია


№ 266

პარასკევი, 10 დეკემბერი, 1899 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227



ნინა მერაბის ასული, სოფიო იოსების ასული და ევნატე ონისიმეს ძე იოსელიანნი, აუწყებენ რა გარდაცვალებას პირველნი მეუღლისას, უკანასკნელი მამიდისას,

**ანნა სოფრონის ასულის ენგელისას.**

უმორჩილესად სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ მიცვალებულის გამოსვენებაზედ ალექსანდრე-ნევსკის ეკკლესიიდგან დღეს, 10-ს დეკემბერს, დილის 9 საათზედ. (1—6.—1)

ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი

ექიმი გაბრ. იოს.

**ზოკიელოვი**

იღებს ავადმყოფებს დილ. 9—12 ს., საღამ. 5—7 საათ.

ტფილისის ქუჩა, ლევან ქურთიშვილის სახლი, № 20. (40—140—24)

ქ. ქუთაისში

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

**სალომე ი. კერესელიძე**

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9 საათიდგან საღამოს 6-მდე. მიხეილის ქუჩა, შნეიდერის სახლები. (30—147—25)

**ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი,**

მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის კარის კამერჰერი **თავადი სიმონ გიორგის ძე წერეთელი** აცხადებს, რომ 3 მაისს მომავალ 1900 წელს, 1876 წელს გამოცემულ კანონთა კრებულის მე-IX ტომის მე 81 და 82 მუხლ. ძალით, მოხდება

საგანგებო საგუბერნიო კრება ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა. (3—6.—3)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ვ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**დ. ქ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12½—1½ სადოსტაქრო.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**კ. ი. გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაჩაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიური და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი მ. ა. გედევანიშვილი

**პირველი კერძო სამკურნალო**

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ქ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

**საღამოობით:**

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—7½ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეოროლოგიურად ცარცს, ნახველს, სისხლს, რძეს ტ სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმპართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову (—1—წ).

**ე ქ ი მ ი**

**კ. ს. გძელიშვილი**

მ ი ი ღ ე ბ ს

**ყელისა, ცხვირისა და ყურით**

ავადმყოფებს,

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки. (100—31—57)


## მთავრობის განკარგულებანი

—

ებოძათ: წმ. ანნის მე-2 ხარისხის ორდენები: კავკასიის მთავარმართებლის საგანგებო მინდობილებათა მოხელეს ნადვ. სოვეტნიკს თავ. გრუზინსკის და ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავ. ნიჟარაძეს.

## ახალი ამბავი

—

*** ხუთშაბათს, 16 დეკემბერს, ქართულის დრამატიულის დასის მიერ, ე. ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ, წარმოდგენილი იქმნება ახალი პიესები: „სიხარულმა ელდა იცის“, 1 მოქმ. კომ. გ. ქურულისა, „სამოცი წლის არშიყი“ 1 მოქ. ვოდ. ე. ჩერქეზიშვილისა და 2 მოქ. კომ. ა. ცაგარლისა.

*** კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიის საქმის მწარმოებელი ბ-ნი კესტნერი დანიშნულ იქმნა მთავარ-მართებლისავე საბჭოს წევრად.

*** კავკასიის სამკურნალო ნაწილის უფროსად დაუნიშნიათ ოლონევის გუბერნიის სამკურნალო ინსპექტორი ექიმი ბ-ნი ფენომენოვი.

*** 8 დეკემბერს უსახელო საზოგადოების დირექტორმა როპიმ განცხადება წარუდგინა გამგეობას იმის შესახებ, რომ უსახელო საზოგადოება თანახმა არის დაინარჩუნოს შემდეგს ვადამდე ცხენის რკინის გზის წარმოება ქალაქის საბჭოს-მიერ მოწონებულ პირობით.

*** რედაქციამ მიიღო ფრანგული ჟურნალი „Le Caucase Illustre“, რომელიც იბეჭდება მურიეს რედაქტორობით. ჟურნალში დაბეჭდილია რამდენიმე წერილი კავკასიის შესახებ, ბარონ დე-ბაის პატარა მოთხრობა ქართველთა ცხოვრებიდგან, ქართული და სომხური ანდაზები, წერილი სვანთა შესახებ და სხვა. ჟურნალი დასურათებულია.

*** უმართებულესმა სენატმა განმარტა, რომ არ შეიძლება ჩათვლილ იქმნენ კანდიდატებად ქალაქის თანამდებობაზედ ისინი, რომელთაც ქალაქის ხმოსნების არჩევანებში მონაწილეობა მინდობილობისა და რწმუნების წერილით მიიღეს, რადგანაც ასეთი მინდობილებისა და რწმუნების წერილები, კანონით, ეძლევათ მხოლოდ ერთს განსაზღრულ საარჩევნო კრებაში მონაწილეობის მისაღებად და არა ქალაქის არჩევანებში საზოგადოდ. კრების გათავების შემდეგ ეს მინდობილობისა და რწმუნების წერილები ძალასა ჰკარგავენ. ამიტომ ის ამომრჩეველნი, რომელთაც ცენზი არა აქვთ და არჩევანებში-კი მონაწილეობა რწმუნების ქაღალდით მიიღეს, თუ ხმოსნად არ იქმნენ არჩეულნი, არ შეიძლება არჩეულ იქმნენ ქალაქის თვით მმართველობის რომელსამე თანამდებობაზედ.

*** ქალაქის გამგეობამ დაადგინა: 200 მან. შემწეობა დაენიშნოს რეალურ სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულს გიორგი ფურაქაშვილს, რომელიც სამთო ინსტიტუტში შევიდა სწავლის განსაგრძობად. ეს ფული გაეგზავნება ინსტიტუტის დირექტორს.

*** როგორც ფოთიდგან გვატყობინებენ, კვირას, 12 დეკემბერს, იქ, ადგილობრივ წიგნთ-საცავის სასარგებლოდ, წარმოდგენა-კონცერტი იქმნება გამართული. კონცერტში, სხვათა შორის, მონაწილეობას მიიღებს ხოროც, რომლის მოსაწყობადაც ბ-ნი კავსაძე მიუწვევიათ.

*** დღეს, საღამოს 10 საათზედ, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას კრება ექმნება. განსახილველია საგნები: 1, მიმდინარე საქმეები; 2, მოხსენება საზოგადოების წევრის თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილისა წრეულს თელავში მომხდარ მევენახეთა და მეღვინეთა კრებისა და მის დადგენილებათა შესახებ.

*** ამ დღეებში მოხდა იმ ხმოსან ტეხნიკოსთა სხდომა, რომელთაც მინდობილი აქვთ ქალაქის ქუჩებმოედნების ელექტრონით განათების საქმე. „სიმენსისა და გალსკე“-ს ფირმამ, რომელმაც სხვა მწარმოებლებთან შედარებით ყველაზედ უფრო ხელსაყრელი პირობები წარუდგინა ქალაქს, ელექტრონის განათების საქმე დაუკავშირა ცხენის რკინის გზის წარმოების კონცესიაც. კომისიამ დაადგინა: მოელაპარაკოს სიმენსისა და გალსკეს ფირმას და წინადადება მისცეს მას იკისროს მხოლოდ განათების საქმე თვის-მიერ წარდგენილ პირობებით.

*** კავკასიის საბაღოსნო საზოგადოების განყოფილების საზოგადო კრებამ 5 დეკემბერს დაამტკიცა შემდეგი ჯილდოები, რომელიც დაენიშნათ წინანდალსა და კარდანახში გამართულ კონკურსის გამო ვენახების მომსხურებელთ: პატარა ვერცხლის მედალი: არტემ სიმონოვს, შაქრო ლაზარიაშვილს და შაქრო ზარდიაშვილს; ბრინჯაოს მედლები ნიკ. არსენოვს და ნიკოლოზ ლეკაშვილს; ვერმორელის მანქანები: ნესტ. სულაქველიძეს და თითია მათაშვილს; გოგირდის ტყავის მანქანები: ვას. პერსიშვილს და ალ. საგინაშვილს; ვენახის დანები: დიმ. მარკოზაშვილს, ზ. სუმბაძეს, დ. ბოლქვაძეს, მიხ. ხატიაშვილს, დ. ბედენაშვილს და ალ. მათიაშვილს; დიდი ვერცხლის მედალი: დავ. შავერდოვს; „პრიზის“ მედალი კონსტ. კახტაევს, შაქრო შანშიელაშვილს და მიხ. კოკორაშვილს. ამ კონკურსმა დიდი ყურადღება მიიქცია მცხოვრებთა შორის, რომელთაც სთხოვეს განყოფილებას, კახეთის სხვა ადგილებშიაც გამართოს ასეთი კონკურსები.

*** საეპარქიო სასწავლებელთა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ფული მიეცეს ხარფუხში ქ-ნის ბარისოვის სახლის შესაძენად და აქ სკოლის მოსათავსებლად. საბჭოს თხოვნით ქალაქის გამგეობამ სახლის დასათვალიერებლად და დასაფასებლად დანიშნა არქიტექტორი მელიქ-ბეგლიაროვი და დამფასებელნი კეპინოვი და დავიდენკო; ამ დამფასებელთ საბჭოს წარმომადგენლის მონაწილეობით 17 ნოემბერს დაათვალიერეს ხსენებული სახლი. ამას გარდა სასწავლებელთა საბჭომ წარუდგინა გამგეობას წინანდელი დაფასების ქაღალდი. ამის მიუხედავად, გამგეობა რაღაც მიზეზის გამო აგვიანებს ახალ დაფასების მოწმობის მიცემას.

*** მომავალ სამის წლისათვის 1901 წლიდგან ამიერ-კავკასიაში სა-

ერო განათლების სასწავლებელთა შესანახად თხოულობენ 181,500 მან.

⁂ ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციის შუამდგომლობა აღუძრავს ტფილისში საგუბერნიო და საოლქო ინჟენერთა კრების მოწვევის შესახებ; კრება განიხილავს გზების გაუმჯობესობის საქმეს.

⁂ დიდის თოვლის გამო მიმოსვლა ტფილისსა და თელავს შუა შეწყვეტილია.

⁂ 8 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 ნახევარ საათზედ, ტფილის მანგლისის გზა ტფილისსა და კოჯორს შუა შეიკრა თოვლისაგან.

⁂ როგორც „სინ ოტეჩ.“-ს შეუტყვია, რამდენსამე ახალგაზრდა მეცნიერს განზრახვა აქვს გამოიკვლიოს კავკასიაში მცხოვრებ უცხო ტომთა ყოფა ცხოვრება.

⁂ საქონლის ჭირი, რომელიც ამ დღეებში ოსეთში გაჩნდა, როგორც აღმოჩნდა, ტფილისიდგან ყოფილა შეტანილი, თუმცა ტფილისში ამ სენის არსებობა არ შეუმჩნევიათ. ამის გამო ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა პოლიცმეისტერს, 12 დღის განმავლობაში წარმომიდგინეთ იმ ეზოების სია, სადაც სხვილ-ფეხი საქონელი არის დაყენებული, რათა ეს საქონელი შემოწმებულ იქმნას ბეითალთაგანაო.

⁂ ქარელი, (გორის მაზრა). აქ მძვინვარებს რაღაც ნაირი გადამდები სენი, რომელმაც მთელი სოფელი შეაძრწუნა. ავადმყოფებს თავ ყბა უსივდებათ, ხან სიმსივნე ფეხებიდგან იწყება ხოლმე, შავდებიან და სულ ხუთი-ექვსის დღის განმავლობაში იხოცებიან. ამ ერთის კვირის განმავლობაში ამ სენმა ოთხი კაცი იმსხვერპლა: სამი ახალგაზდა ცოლ-შვილიანი კაცი და ერთიც ქალი; ოთხი კიდევ გაჭირვებული ავადმყოფია. ადგილობრივ მამასახლისს ამის შესახებ მაზრის უფროსისათვის მოუხსენებია, მაგრამ ჯერ არა ისმის-რა განკარგულებისა.

⁂ ს. კურდღელაური, (კახეთი). ამ სოფელში ოთხასი კომლი მცხოვრებია და ორი ეკკლესია თავისი ცალ-ცალკე მრევლითა და საკუთარის მღვდლებით, მაგრამ არც ერთი სკოლა არ არსებობს. ნუ თუ ორ ეკკლესიას არ შეუძლიან ერთი ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლის შენახვა, როდესაც სამოსწავლო საბჭოც დახმარებას არ მოაკლებს და თვით სოფელიც შეძლებისამებრ დახმარებას აღმოუჩენს? აქ მხოლოდ საჭიროა მოთავე კაცი, მაგრამ ჯერ ასეთი არავინ აღმოჩნდა. ქონებრივად კურდღელაურის გლეხკაცობა თან და თან უკან მიდის. ერთად ერთი წყარო ჩვენის გლეხკაცობის ცხოვრებისა პურისა და ღვინის მოსავალი ყოველ წლივ კლებულობს. ამის მიზეზებია: სახნავ-სათესი მინდვრების და ვენახების სიცოტავე და წესიერად შეუმუშავებლობა ყანებისა და ვენახებისა...

⁂ ს. ჯუმათი, (გურია). აქაურ მასწავლებელ გობეჩიას მეცადინეობით, ჩვენმა საზოგადოებამ დაადგინა განაჩენი ერთ კლასიან სკოლის ორ კლასიანად გადაკეთების შესახებ და წარსულ ნოემბრის გასულში შეიძინა ერთი ქცევა (900 ოთხკუთხი) ადგილი სკოლის ბაღისათვის, რომელიც შემოაღობინა კარგის შკერის წნელით. ადგილის შეძენა და შემოღობვა საზოგადოებას დაუჯდა 149 მან. ეს მხნე მასწავლებელი მთავრობის განკარგულებით გადაყვანილ იქმნა ზედამხედველად ხვარბეთის ორკლასიან სასწავლებელში. მეტად გული დაგვწყვიტა მისმა მოშორებამ. ჯერ მის მაგიერი მასწავლებელი არ არის აქ.

⁂ ს. ზემო-მაჩხაანი, (ქიზიყი). აქ ერთი ამბავი მოხდა, რომელმაც მთელი ქვემო ქიზიყი ააყაყანა. აი საქმე როგორ იყო. ამ სოფლის ერთს ახალგაზდა გლეხს ჰყავდა ოთხის წლის ჯვარ-დაწერილი ცოლი, რომელსაც ჯერ შვილი არ მისცემოდა. ოთხის წლის პატარძალმა მეორე ქმარი იშოვნა, ე. ი. ერთი აქაური მედუქნე შეიყვარა, და როდესაც ქმარი შინ არა ჰყავდა, იმასთან სადილობდა. ქმარს ეჭვი ჰქონდა აღებული, მაგრამ არ უნდოდა მარტო ეჭვით რაიმე გადაწყვეტილს გზას დასდგომოდა. ამიტომ მან შემდეგი ხერხი იხმარა: ამ ორის კვირის წინად, ერთ საღამოს, შეჯდა ცხენზედ და ცოლს უთხრა,—შირაქში მივდივარო. ცოლსაც ეს უნდოდა,—საღამოზედ მეგობარი მოიწვია. გლეხი რამდენისამე ვერსტის მანძილზედ წავიდა სოფლიდგან, იქ ერთს დუქანში ივახშმა და მერმე დაბრუნდა შინ. ცხენი შორი ახლოს მიაბა, თითონ ფეხით მივიდა სახლთან და ფანჯარა დაუკაკუნა. ცოლმა გამოჰხედა, მაგრამ ამ დროს ქმარმა საყვარელსაც თვალი შეასწრო და მაშინვე შესძახა: „მოიტა აქ ქამარ-ხანჯალი, თორემ მოვიდა თოფითო“. შეშინებულ მედუქნეს მეტი გზა არა ჰქონდა, გამოაწოდა ქამარ-ხანჯალი და საათი. ამის შემდეგ გლეხი შევიდა სახლში და მედუქნეს უთხრა: შენი ბრალი არ არის, რადგანაც მოპატიჟებული ხარო... წადი აქედგანო. შემდეგ მიუბრუნდა ცოლს, დაიჭირა, შეუკრა ხელ-ფეხი საბლით, ამოიღო ხანჯალი, ცხვირი მოსჭრა და ფანჯრიდგან გარეთ გადმოაგდო. შემდეგ თითონაც გამოვიდა გარეთ. ქალის ტირილსა და წივილ-კივილზედ მთელი სოფელი შეიყარა. ქმარმა დაწვრილებით უამბო ყველას, რაც მოხდა და ბოლოს დაუმატა: „მე ჩემი მოვალეობა შევასრულე და თუ გინდათ, ეხლა თქვენ უპატრონეთო“.

მეორე დილით ექიმი მოიწვიეს ქვემო მაჩხაანიდგან ცხვირის მისაკერებლად, მაგრამ იმანა სთქვა, რომ ცხვირი ტყავით მაინც არის რომ ყოფილიყო მიმული, შეიძლებოდა მიკერება, მაგრამ ცხვირის ნაჭერი მთელი ღამე გარეთა გდებულა და ამ გაყინულს რაღა მიუყენებსო...

⁂ ბეთანიის მონასტერი. ვინც-კი საქართველოს ისტორიას იცის, იმას კარგად ეცოდინება, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს ისტორიაში ბეთანიის მონასტერს. იგი საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ ამ ტაძარში დახატული და შენახული იყო ერთს კედელზედ სურათი ჩვენის დიდებულის მეფის თამარისა რამდენადაც ვიცით, თამარის სურათი, ჟამთა ვითარების მეოხებით, მთელს საქართველოს ყველას ეკკლესიათა შორის, მარტო ამ ეკკლესიაში იქმნა შენახული, ისე რომ ამ მონასტრის სურათი რომ არ გვქონოდა, სხვაგან ჩვენ ვერსად ვერ მოვიპოვებდით ამ დიდებულის მეფის სურათს, რადგან ყველგან შებღალულა, წაშლილა და სრულიად გამქრალა. მაგალითად, ასე წაშლილა დასავლეთ საქართველოს ყველა ეკკლესიების კედლებზე ნახატი თამარ მეფის სურათები, სადაც კი ცვერაფერს გაიგებს.

ბეთანიაში 1850 წ. მიბრძანდა და მონასტერი და სურათი ნახა მთავარ მართებელმა მ. ს. ვარანცოვმა. მისის ბრძანებით თამარ მეფის სურათი გადახატა ცნობილმა მხატვარმა გაგარინმა, რომელმაც მხატვრობით შეამკო სიონიც. ამავე მონასტერში მაშინვე იყვნენ ისტორიკოსი ბ. იოსელიანი, გრ. ორბელიანი, ვინც ამ მეფის სახეს შესანიშნავი ლექსიც მიუძღვნა. მათსავე დროს იყო იმ დროის ცნობილი გვამი ბარონ ნიკოლაიც, რომელმაც მამულებიც შეიძინა.

ყველაზე უაღრესად ამ მონასტრისთვის გრ. ორბელიანი სწუხდა, მას დიდად ენატრებოდა მისი განახლება თუნდა მარტო მისთვის, რომ აქ თამარ-მეფის მჯვრეფსა სახე არ მოსპობილიყო. მაგრამ მაშინ მის ნატვრას აღსრულება არ ეწერა. გავიდა დრო და გრ. ორბელიანი გარდაიცვალა, მის შემდეგ ამ მონასტრის საქმეს მრავალთ მიაქციეს ყურადღება და იწყეს ზრუნვა-ღრტვინვა მისის დაცვისათვის.

უკანასკნელ, მას გამოუჩნდნენ პატრონები, შეიყარეს რამდენმამე მმებმა ერთად თავი და ისურვეს ძველის ნაშთის აღდგენა და სამუდამოდ დაცვა. დღეს იქ უკვე ათამდე მუშაკი ბერნი და მორჩილნი ცხოვრებენ, რომელნიც თავიანთის შრომით აახლებენ ეკკლესის ნაშთს. ასეთ საქმისთვის არა კმარა მარტოდ იმათი შრომა და მუშაკობა. საჭიროა, რომ ამ საქმეს სხვებმაც მიაქციონ ყურადღება და უმეტესად ორბელიანთ გვარის წევრთა, რომელ გვარის ერთის უხუცესის გრ. ორბელიანის ნატვრას ის შეადგენდა, რომ ეს ეკკლესია ნაშთი, რომელიც მათ გვარეულობის სასახელოთ აუგიათ თამარ მეფის დროს, არ შემუსვრილიყო და აღდგენილიყო. ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ ძველის ნაშთის კედლების განსაახლებლად აქა იქ დახმარებისთვის მიუმართავთ. შევიტყეთ ისიც, რომ საქართველოს ეგზარხოსს მაღალ ყოვლად უსამღვდელოეს ფლაბიანეს კეთილ უნებებია და ხსენებულის მონასტრის მღვდელ-მონაზონ სვირიდონისთვის ლოცვა კურთხევა უბოძებია, რათა მან მოიაროს და ყველა ჩვენს გულშემატკივართ დაავალოს ამ დიდებულის ძველი ნაშთის სასარგებლოდ თვისის წვლილის გაღება და მით აღდგენა დიდებულის გვამის სახისა.

⁂ ახალციხე. ამ თვეში ქართულ სამკითხველოს სასარგებლოდ გაიმართება აქ წარმოდგენა. იმედია ქართველი საზოგადოება დაესწრობა ამ წარმოდგენას, მით უფრო, რომ ეს სამკითხველო ერთად ერთი ფარსხალია ახალციხის ძველის ნაწილისთვის.

დიდის მადლობის ღირსნი არიან ამა სამკითხველოს მზრუნველნი, რომელნიც არა ჰზოგავენ თავიანთ შრომას, რათა გააუმჯობესონ სამკითხველო. წლეულს აქ ადრე დადგა ზამთარი; გიორგობის თვეშივე ნახევარი ადლი თოვლი მოვიდა. საშინელი სიძვირეა ყველაფრისა.

⁂ ს. ლიხინი, (აფხაზეთი). 21 ნოემბერს, ლიხინის სოფლის მცხოვრების ხ. ე—ვის სახლში შევიდა ვიღაც ქურდი, როცა სახლის პატრონი თავისი ოჯახობით დ. გუდაუთაში იყო, და გაიტაცა ყუთი, რომელშიაც ფული ეგულებოდა, მაგრამ მისდა საუბედუროდ მოსტყუვდა; თურმე პატრონს ფულის შენახვა სცოდნია და ქურდმა ყუთში მარტო ქალის მორთულობა და სხვა წვრილმანი ხაბაკი ნახა. მეორე დღეს დამტვრეული ყუთი, პატრონის მამის ძველი პაგონებით, ვიღაც რუსმა იპოვნა შერვაშიძის სასახლის ნანგრევში. გამოძიება უკვე სწარმოებს.

⁂ მე-VII ნაწილის ბოქაულმა წინადადება მისცა სახლის პატრონებს დააქციონ კახეთის ქუჩაზედ ხის ფარდულები,

⁂ ამ თვეში ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტი განიხილავს იმ დებულების პროექტს, რომელიც შეეხება რუსეთში განთავისუფლებულ სამხატვრო-სამრეწველო სკოლების დაარსებას, ერთი ასეთი სკოლა დაარსდება კავკასიაშიაც.

⁂ ტფილისის ვაჭარი კ. ა. სერობიანცი 7 დეკემბერს ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციამ დაამტკიცა ტფილისის ხელოსანთა მოურავის თანამდებობაში.

⁂ ქალაქის საქიმიო ლაბორატორიაში ამ ჟამად იკვლევენ გასასყიდ სასმელების თვისებას.

⁂ „კავკ.“-ს შეუტყვია, რომ ცნობილი სომეხთა მილიონერი ბ-ნი მანთაშევი, რომელმაც ამას წინად თავ. მუხრან-ბატონის სახლი და ბორჩალოს მაზრაში მამული შეიძინა, 24 დესეტ. ადგილის ყიდვას აპირებს ვერის იქით, საითკენაც იწევს ამ ჟამად ქალაქი.

⁂ 8 დეკემბერს ქალაქის მოურავმა წარუდგინა ტფილისის გუბერნიის უფროსს ქალაქის თვით-მმართველობის შუამდგომლობა ქ. ტფილისში საზოგადო საავადმყოფო გარდასახადის დაწესების შესახებ.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერმა წინადადება მისცა მე-5 ნაწილის ბოქაულს, დაჰხურეთ ამ წელში შინაურ ფრინველთა ეზოები 1900 წლის 15 იანვრამდეო. ეს განკარგულება იმ გარემოებას გამოუწვევია, რომ ფრინველთა ეზოების გამო უსუფთაობა არსებობს იმ ადგილას, სადაც ეს ეზოები იმყოფება.

⁂ 6 და 7 დეკემბერს მოსულმა თოვლმა საგრძნობელი ზარალი მიაყენა ტფილისის მცხოვრებთ. ტელეფონის მავთულების დაზიანების გარდა, თოვლის სიმძიმემ ზოგიერთ ძველ სახლებზედ დააქცია ლავგარდანები (კარნიზები); თოვლისაგანვე ზოგი ერთ ძველ შენობათა მიწური ბანები დანგრევას ჰლამის. მრავალგან ჩამოიქცა ხის ფარდულებისა და სარაიების სახურავები. ქუჩებზედ თოვლ-ჭყაპის გამო მიმოსვლა მეტად გაძნელდა; ქალაქის რკინის გზის ვაგონებს თითო ცხენი მიუმატეს. ეტლები, რომლებშიც ორ-ორის ცხენის მაგივრად, სამ-სამი და ოთხ-ოთხი ცხენები შეებათ, დიდის გაჭირვებით დადიოდნენ. 8 დეკემბრიდგან ქუჩები ოდნავ გაწმენდილ იქმნა და მიმოსვლაც საკმაოდ გაადვილდა.

⁂ ფინანსთა სამინისტრომ ცანმარტა: 1) მაგარ სასმელების ქარხნის პატრონთ შეუძლიანთ გაჰმართონ თავიანთ ნაწარმოებთა საწყობები სამრეწველო გარდასახადის გაუღებლად მხოლოდ თვით ქარხნებთან და იმ ადგილის საზღვრეზში, სადაც ეს ქარხანა იმყოფება; 2) სარდაფებისა და სხვა-და-სხვა გვარის დუქან-მაღაზიების დაარსება მხოლოდ სამრეწველო მოწმობის ძალით არ შეიძლება, თუნდაც სარდაფ-მაღაზიები ერსა და იმავე შენობაში იმყოფებოდეს.

⁂ ფოთი. აგერ თხუთმეტ დღეზედ მეტია, რაც ფოთის სამოქალაქო სასწავლებლის მესამე კლასის მოსწავლე, 12 წლის ყმაწვილი იონა, იგივე ვანო ალექსის ძე ჭანტურია, სადღაც დაიკარგა და ჯერაც არავინ იცის, თუ სად არის. ამის მიზეზი ის ყოფილა, რომ სწავლის ფულები, მამისაგან გამოგზავნილი, თითონ შეუჭამნია და ფულების შეუტანლობისა გამო სასწავლებელში აღარ შეუშვიათ. საწყალი მამა მისი, ზუგდიდის მაზრის სოფელ საჩიჯაოის მცხოვრები, ამ ამბის გაგებისათანავე ჩამოიჭრა ფოთში—ბევრი ეძია თავისი შვილი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერაფერს გახდა.

## წერილი თელავიდგან.

5 დეკემბერს თელავში, სასულიერო სასწავლებელთან, გაიხსნა საკვირაო სკოლა, დეკანოზი მ. ხელაშვილის მეცადინეობით და ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ეგზარხოსის ფლაბიანეს ნებართვითა. იმავე დღეს 93 სულმა გამოაცხადა სურვილი სწავლისა, რომელთაგან 36 ქალიშვილია. მსურველთა რიცხვში 11 წლიდამ ვიდრე 35 წლიანი არიან. ერთი ლეკია და დანარჩენი სომხები და ქართველები. ყველამ განაცხადა სურვილი ქართული და რუსული წერა-კითხვისა და ენის შესწავლისა. ამ ერთს წელიწადში თელავში გაიხსნა ორი სამრევლო საეკლესიო სკოლა: ერთი დედათა ❜ მეორე ვაჟთა. დედათა სასწავლებელში 69 მოსწავლეა, ვაჟებისაში 70. ორივე სკოლაში საკუთარი მასწავლებელია, ქალებისაში ქ ნი ოლ. კანკავისა და ვაჟებისაში ბ-ნი ონ. ჭიკაძე. ამ სკოლებიდამ ბ-ნ ჭიკაძეს ლოტბარობით შემდგარია მგალობელთა გუნდი, რომელიც ყოველ კვირა-უქმე დღეს გალობს ქართულად თელავის საკრებულო ტაძარში. ყველა ეს მოხდა ერთი წლის განმავლობაში და მოხდა იმიტომ, რომ ეს ერთი წელიწადია, რაც თელავში გადმოიყვანეს დეკანოზი მ. ხელაშვილი. ამ ერთი კაცის მეცადინეობით 139 ბავშვი სწავლობს ორს სასწავლებელში მუდმივად და დღეს 93 მოსწავლე იწყებს სწავლას.

საკვირაო სკოლაში სწავლება აღუთქვეს სასულიერო სასწავლებლისა, დედათა წმ. ნინოს სასწავლებლისა და სამოქალაქო სასწავლებლების მასწავლებლებმა და აგრეთვე ქ-ნმა ე.ბ. იაგოროვისამ, მ.გ. ვახვახიშვილისამ და ტყის მცველმა ბ მაცირულნიკოვმა. საკვირაო სკოლის კლასების ზედამხედველებად არჩეულ იქმნენ ქ ნი ე. ბ. იაგოროვისა, მ.გ. ვახვახიშვილისა და ნ. ი. მამინაიშვილი. იგინივე, თვით დეკანოზი ხელაშვილი და ბ ნი პავლე პეტრეს ძე სოგინი შეადგენენ საკვირაო სკოლის საბჭოს.

ნადიკვრელი.

## ქართული სცენა ქუთაისში

თამარ ცბიერი.—კარდინალი რიშელიე.—ჰამლეტი.—უბედური ნაბიჯი.

14—18—21—28 ნოემბერი.

„თამარ ცბიერის“ წარმოდგენას ჩვენ არ დავსწრებივართ; ამბობენ, მეტად ცოცხლად ჩაიარაო, რაიც მოსალოდნელი იყო, რადგან უკეთეს როლებს თამაშობდნენ ქ. ანდრონიკაშვილისა, ვ. მესხიშვილი და გრ. აბაშიძე.

„კარდინალი რიშელიე“ კ. ყიფიანის საბენეფისოდ იყო დადგმული. ეს პიესა დაძველებულია უკვე, მელოდრამატიულია, მოკლებულია იმ ბუნებრივობას და სიმარტივეს, რომელიც ყველაზედ უფრო მოეთხოვება პიესას. ერთად-ერთი კარდინალის ხასიათის სიძლიერეა, რაიცა მიიზიდავს ყურადღებას. დღეს ეგ პიესა უფრო მდაბიო ხალხისთვის არის შესაფერი. კ. ყიფიანი მშვენიერი რიშელიე იყო; რიშელიე ერთი იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიერ ხასიათთაგანია, რომელთაც ისე საუცხოვოდ თამაშობს ნიჭიერი არტისტი. საზოგადოება ძლიერ ცოტა დაესწრო წარმოდგენას, საუბედუროდ. ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივაწეროთ იმას, რომ ვინმე კ. ყიფიანის ნიჭის პატივისმცემელი არ იყოს, რამდენადაც, რასაკვირველია, ნიჭს საზოგადოდ პატივს სცემენ ჩვენში. უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ჩვენს საზოგადოებას ჯერ არა აქვს ისეთი სიყვარული ხელოვნების თუ სხვა საზოგადო საქმის მოღვაწეებისა, როგორსაც განათლებულ ქვეყნებში ვხედავთ, რის გამო ის, რომ ცუდი ტაროსი იყოვ, ის რომ წარმოდგენა დანიშნული იყო ოცის წინა რიცხვში, რომ პიესა უკვე ნათამაშევი იყო ქუთაისში, დიდ დამაბრკოლებელ მიზეზად არ ჩაითვლება.

სამწუხაროა მეტად ჩვენის საზოგადოების ასეთი უსიცოცხლობა,—მასში მკვდარია ყოველივე ენტუზიაზმი, არა მარტო ერთ სფერაში, ყოველგან, ყველას შესახებ.

„ჰამლეტმა“ 21 ნოემბერს ბევრი ხალხი მიიზიდა თეატრში. მეტად სასურველია ასეთი პიესის დადგმა; შეიძლება საზოგადოებამ ის ვერ გაიგოს ერთიან, მაგრამ რამდენჯერმე რომ ნახავს, უფრო და უფრო დაუკვირდება, ჩაუფიქრდება და მერმე მთლადაც გაიგებს. ერთი ასეთი პიესის გაგებაც-კი დიდი შესაძენია.

ჰამლეტი ძლიერის გონების, მოსაზრებისა და სუსტის ენერგიის ადამიანია. იგი უპირველესად იმ მეტად მგრძნობიარე ხასიათთაგანია, რომელნიც საკრავების მუდამ მთრთოლვარე სიმებს ჰგვანან და უმთავრესად შინაგანი ცხოვრებით სცხოვრობენ. გონება განვითარებულის, დიდი გრძნობის ჰამლეტის ჰაზრი და ფიქრი მიმოქცეულია შიგნით. ის ნაკლებად სცხოვრობს გარეშე მოვლენებით, უფრო შთაბეჭდილებებით, ფიქრებით, ჰაზრებით, გონების პროცესით; ერთი მოვლენა მისთვის მთელი ისტორიაა, იგი არღვევს მას, ანაწილებს, აერთებს, იკვლევს ყოველ მხრით მის დასაბამს და მიზეზს. „რისთვის“ და „რად“? ეს კითხვები განუშორებელია ჰამლეტისაგან, ყველაფერს მიხვდება მისი მეტად მგრძნობიარე გული, მაგრამ ის ამაზედ პასუხს არ იძლევა გარეგანი რეაქციით, მოქმედებით, არა ის მეტად ინტელექტუალური კაცია, ყოველივე მოვლენა-შთაბეჭდილება უპირველესად საზრდოა, მასალაა მისი გონების მუშაობისათვის.

ჰამლეტი სავსე იყო ოცნებებით და იდეალებით, სანამ ახალგაზრდა პრინცისთვის ცხოვრებას არ ეჩვენებინა ჯერ თავისი ცუდი მხარეები. ის დარწმუნებული იყო, რომ იდეალები ყველასათვის წმინდაა, ქვეყანაზედ ბატონობს გონებრივი და ზნეობრივი კეთილშობილობა, სახელმწიფო ცხოვრებაში მეფობს სამართალი, კერძო ცხოვრებაში სიმართლე; აღტაცებული იყო თავისის დიდებულის მამით, დიდათ პატივს სცემდა დედას, რომელიც სათნოებით სავსე ეგონა, უყვარდა მშვენიერი და კეთილი ოფელია; საზოგადოთ „ადამიანი მისთვის მშვენიერი ხელოვნება იყო. საქმით სწორი ანგელოსისა, გონიერებით ღვთისა“.—მაგრამ ცხოვრება შეტრიალდა: დიდებული მამა უცებ გარდაიცვალა, ჰიპერიონის ადგილი დაიჭირა სატირმა, ტახტზედ დაჯდა მისი ბიძა, ძმა მისი მამისა. „რომელიც, როგორც ჰამლეტი ამბობს—თუმცა ძმა არის, მაგრამ ისე ჰგავს თავისს ძმასა, ვით მე ჰერკულესს“. მისი დედა, რომელიც მას განხორციელებულ სათნოებათ და იდეალურ მეუღლედ მიაჩნდა, ცოლად გაჰყვა თავისს მაზლს და ისიც ორის თვის შემდეგ ქმრის გარდაცვალებისა. თვითონ ის ტახტის მემკვიდრე, ეხლა თითქოს უბრალო ქვეშევრდომი შეიქმნა, კარის კაცებში ჩავარდა და სადაც სიმართლეს ჰფიქრობდა, იქ მხოლოდ პირმოთნეობას, მოტყუილებას, სიცრუეს შეხვდა; არა სწამს ოფელიაც,—ისიც ხომ დედაკაცია და არარაობაა მისი სახელი. გაჰქრა იდეალები, ცხოვრების სიყვარული!

ჰამლეტი მზად არის თავი მოიკლას, ისე გაუმწარდა სიცოცხლე, მაგრამ ვერ ბედავს, ამის ძალა არ შესწევს მას. „რად არ მეშლება ეს სხეული ეგრედ მაგარი!.. ან შემოქმედი თავის მოკვლას ნეტა რად გვიშლის!“—ეკითხება თავისს თავს და მერმე განაგრძობს: „ჰო, ღმერთო, ღმერთო! ყველა საქმე ამ წუთის სოფლის როგორ ფუჭია, უნაყოფო, დაობებული. თითქოს ქვეყანა იყოს ბაღი გაუმარგლავი, რაშიაც ხარობს მხოლოდ ღვარძლი, ცუდი ბალახი!“

ამ სულის მდგომარეობაშია ჰამლეტი, როდესაც გამოეცხადება მამის აჩრდილი და შეატყობინებს, რომ ის მოჰკლა მისმა ბიძამ კლავდიუსმა და მოითხოვს შვილისაგან შურისძიებას მკვლელობისა და სისხლის შერევისათვის. „თუ კაცი გქვიან, ნუ აიტან შენ ამას, ჰამლეტ!“—ეუბნება აჩრდილი წასვლისას. ჰამლეტი ზარდაცემულია ამ ამბით. „გულო, დამშვიდდი და ძარღვებო, ნუ მიჩლუნგდებით, უეცრად წელში ნუ მომდუნდებით“—ამბობს. საშინელი შურის ძიებით აღივსება მისი გული. ის მზად არის ყველაფერი შემუსროს, ყველაფერი წაშალოს თავისს ხსოვნის ფურცლებზე და დაიცვას მხოლოდ მამის ნათქვამი—შური უძიოს ავაზაკს.

მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ თითქოს ემძიმება ეს ტვირთი: „დროთა კავშირი დაირღვა და წყეულმა ბედმა მე რად მარგუნა მისი შეკვრა“ ამბობს იგი მწარედ.

ჰამლეტმა უნდა იმოქმედოს; თუ ქვეყანა ბაღია გაუმარგლავი, მას გამარგვლა-გაწმენდა უნდა, გარშემო ბოროტებას უნდა შეებრძოლოს; ეგეც არ იყოს, მამის მკვლელობა მას შეეხება პირდაპირ და ყოველ შემთხვევაში ჯავრი უნდა იყაროს ბიძაზე. მაგრამ მამის ნაამბობმა ურიცხვი ფიქრებით აავსო მისი გონება. ამ ფიქრებით შეპყრობილს ცოტათ ახსოვს შურის ძიება. მერმე ეჭვიც ებადება აჩრდილის შესახებ: შეიძლება ის ეშმაკი იყო და ჩემი დაღუპვა მოინდომაო. წარმოდგენის გამართვას განიზრახავს, რომ ნამდვილად დარწმუნდეს, სწორედ მკვლელია თუ არა ჩემი ბიძაო. ცხოვრების სიმწარისა და ბოროტების კითხვები, ულონობისა და გაუბედაობის ფიქრი-კი მოსვენებას არ აძლევს. „ყოფნა! არ ყოფნა!“—ეკითხება თავისს თავს და ამ შესანიშნავ მონოლოგის ბოლოში თითონ აღიარებს, რომ ამ მუდმივ ფიქრებსა და კითხვებშია ჩემი უბედურობაო, როდესაც ამბობს: „ლაჩრად გვხდის ჩვენი ცნობიერება, გაბედულობას მოსაზრება უსუსტებს შუქსა და ძლიერ საქმეთ წინ ეღობება“.

წარმოდგენამ დაუმტკიცა მისის ნაამბობის სიმართლე. მარტოს შეჰხვდება მეფეს ოთახში და შეუძლიან ხმლის ერთის დაკვრით მოუსპოს მას სიცოცხლე, მაგრამ უკან დაიხევს და თავს იმით მართლულობს, რომ ლოცვის დროს რომ მოვჰკლა, მის სულს ზეცას გავჰგზავნი და ამით ჯავრს ვერ ვიყრიო; „როს ჩადიოდეს უწმინდურსა რამ საქციელსა, მაშინ დავკრავ და ყირამალად ჩავაგდებ ქვესკნელსაო“—ამბობს და თავისი გულის ჯავრებ დედის განკიცხვაში იქარწყლებს მხოლოდ. ასე გაურბის საქმეს და ამის შეგნება უფრო უმწარებს ყოფას. როდესაც ინგლისისაკენ მიემგზავრება, ფორტინბრასის ჯარის შეხვედრა მოაგონებს მის გაუბედულობას და მწუხარებაში ვარდება. „მე ეს არ მესმის, მუდამ უქმად რისთვის ვიძახი: „ეს საქმე უნდა შევასრულო“, როს ყველაფერი შესასრულებლად ხელს მიმართავს, როგორც მიზეზი, ისე გულის თქმა, ძლიერება საშუალება. მაშ რაღა მიშლის? პირუტყვული თავმინებება, თუ რაღაც ეჭვი სიმხდალისა, რაიცა ცდილობს დასაწყისამდე ზედმიწევნით საქმის შეგნებას?“ გაურბის საქმეს, არა ჰკლავს ავაზაკს, შეიძლება, იმ ფიქრებითაც რომ რა შეიცვლება იმით, ერთი მხეცი რომ მოვკლაო, ვიდრე მისგან დამოუკიდებული გარემოებები არ გამოიწვევს კატასტროფას, რომელიც დაგვღუპავს მეც და ჩემს მტრებსაცო.

ჰამლეტს მარტო ის კი არ აწუხებს, რომ მამა მოუკლეს და დედა ცოლად გაჰყვა ქმრის ძმას და მკვლელს, ისიც, რომ ყველგან ბოროტებაა, ავაზაკობა, სიცრუე, გარყვნილობა, უსამართლობა, რომ ქვეყანა საერთოდ ბაღია გაუმარგლავი, სადაც ხარობს მხოლოდ ცუდი ბალახი. შექსპირმა ის დიდ გონებიანი, კეთილ სულოვანი, მაგრამ სუსტის აქტიური ენერგიის პატრონი ჩააგდო ბოროტებით სავსე წრეში, განსაკუთრებით წინ დაუყენა ერთი ბოროტება—მამის მკვლელობა, და ჰამლეტი სხვა ხასიათის კაცი რომ ყოფილიყო, უნდა შეტაკებოდა ამ ბოროტებას, უკანასკნელს მაინც; კეთილშობილი ჰამლეტი მოწადინებულია შეებრძოლოს „მოზღვავებულ უბედურებას“, შური უძიოს მამამისის მკვლელს და სისხლის შემრევს, რასაკვირველია, არა მარტო სიტყვებით, „უბრალო ლაპარაკით და გინებით“, მაგრამ მისთვის შეუძლებელია აქტიური მოქმედება. *) მხოლოდ თუ შეუძლებელია საქმე, მას აქვს მისი შესაფერი სხვა იარაღი ბოროტებასთან შესაბრძოლებლად—მახვილი გონება და მკრეხლი ენა. რამდენად სუსტია საქმით, იმდენად ძლიერია უკანასკნელით. გასაოცარია მისი გონიერება, გამჭრიახობა, მოსაზრებანი. პიესა ბოლომდის სავსეა მისი გონიერების მარგალიტებითა. ცხადად დაუხატავს გარყვნილ კლავდიუსს მისს ავაზაკობას, ჩაახედვინებს ბოროტ გულში და ლოცვასაც-კი დააწყებინებს ცოდვის მოსახსენებლად. სულის სარკეს დაუდგამს წინ დედას და გულახდილად წარმოახებინებს: „ოჰ, შვილო ჰამლეტ, ჩუმად იყავ, ნუღარას ამბობ, შენმა სიტყვებმა ჩემს სულშივე ჩამახედვინა და დამანახვა ცოდვის კვალი ამოუშლელი“. დედაკაცის გარყვნილობის, ურცხვობის, მატყუარობის უპატიოსნების მის მიერ სასტიკმა განკიცხვამ ტირილამდის მიიყვანა ოფელია. მის დასაღუპავად მომზადებულ ღალატს მტრების წინამდეგ ხმარობს. თავისის ესლიანის ენით არა ერთხელ გააწითლებს როზენკრანცს და გილდენსტერნს; ხშირად ჩააგდებს მეტად სულელურ მდგომარეობაში პოლონიუსს, მიწასთან გაასწორებს ფარისეველ და უსინდისო კარის კაცებს. მისი მახვილი სიტყვები, ირონია, სარკაზმები განუკურნებლად გულს სჭრის მისს მტრებს...

*) ნამეტანი გაცხარება თუ შეაძლებინებს საქმეს (პოლონიუსის მოკვლა).

„ჰამლეტის“ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდენ საუკეთესო არტისტები—კლავდიუსს თამაშობდა კ. ყიფიანი, დედოფალს ქ. ანდრონიკაშვილისა, ჰამლეტს—ვ. მესხიშვილი, ოფელიას—ქ. ჩხეიძე.

„უბედური ნაბიჯი“ რუსულიდგან არის გადმოთარგმნილი; სასიამოვნო სანახავი პიესაა, მაგრამ ჩვენ სხვა პიესების დადგმას უფრო ვამჯობინებდით, თუნდ იბსენისას, მაგალითად. ბოროდინს და პეჩორინის ქალს ერთმანერთი უყვართ, მაგრამ იმ დღეს, როდესაც პეჩორინამ თანხმობის პასუხი უნდა გამოუცხადოს ბოროდინს ცოლობაზე, მათ სახლში თითქმის ძალად შემოიჭრება ერთი ნამუს ახდილი ბარონესსა (მათი სახლის პატრონია), რომელიც გამოეცნობება მათ, მერმე გადიტყუებს ბოროდინს, გაგიჟებით შეაყვარებს თავს და დაავიწყებინებს საცოლოს. პეჩორინა ყველაფერს ითმენს, დედა მოუკვდა, დიდ გაჭირვებაში ჩავარდა, მაგრამ წინანდულად უყვარს ბოროდინი და უარს არის სხვას გაჰყვეს ცოლად. მხოლოდ როდესაც მოისმის ბორონესსას ბინიდამ ბოროდინის სიმღერა—ის უმღერს ბარონესსას იმ რომანსს, რომელიც პეჩორინასთვის შეთხზა და დაპირებული იყო სხვისთვის არ ემღერა—პეჩორინას გული არ მოუთმენს, გაბრაზებული მზად არის ყველაფერზედ, უნდა დაითვრეს, იქეიფოს, ყველაფერი დავიწყებას მისცეს... მაგრამ გონება ეკარგება და უსულოდ დაეცემა იატაკზე. ნ. ჩხეიძემ ძლიერ კარგად ჩაატარა ეს უკანასკნელი ადგილები. ბოროდინის როლს თამაშობდა დ. ჩარკვიანი. ეს ახალგაზრდა მსახიობი სასარგებლო არტისტი შეიქმნება, თუ თავს მოუვლის. მას ესაჭიროება მუყაითობა და კარგი ხელმძღვანელი.

მომავალ წლის 2 იანვარს დიდებული დღეა ჩვენთვის, ქართული თეატრის 50 წლის იუბილეა. არც ერთის საზოგადო მოღვაწის იუბილეის, რასაკვირველია, არა აქვს ამისთანა მნიშვნელობა. ორი კულტურული დაწესებულება გვაქვს ქართველებს—მწერლობა და თეატრი, და ქართული თეატრის 50 წლის მოქმედება მეტად ღირს შესანიშნავი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში.

არ ვიცით, როგორ ემზადება ამ დღესასწაულისათვის ქუთაისის დასი, საზოგადოება, ქალაქის გამგეობა, ინტელიგენცია. ნუ თუ მარტო ერთის ძველის პიესის და „სამზადისის“ დადგმით უნდა გადაიხადოთ ქუთაისელებმა ეს იუბილე?!

ამ წერილის დასასრულ არ შეგვიძლიან არ მივაქციოთ დასის გამგეს ყურადღება კიდევ იმ გარემოებას, რომ სწორედ სანატრელად გაგვიხადა თანამედროვე ქართული პიესების ნახვა.

S—son.

---

# უცხოეთი

## ინგლის-ტრანსვაალის ომი.

როგორც გაზეთები იუწყებიან, შეერთებულ შტატების კონსულად ნამყოფისათვის პრეტორიაში—ბ-ნ მაკრუმისათვის, რომელმაც სამსახურს თავი დაანება და ამ დღეებში ამერიკაში დაბრუნდა, ტრანსვაალის პრეზიდენტს კრიუგერს თითომც წერილები გაეტანებინოს პრეზიდენტ მაკ-კინლეისა და ამერიკის კონგრესთან. ტრანსვაალის რესპუბლიკის პრეზიდენტი თითომც სთხოვდეს ერთსაცა და მეორესაც, რომ ინგლისსა და შეერთებულ შტატებს შორის თუ საკავშირო ხელშეკრულობა არ არსებობს, ეს საქვეყნოდ დაამტკიცეთ იმით, რომ ითავეთ ევროპის სახელმწიფოები ჩარიონ საქმეში და ომი მოსპონ ჩვენსა და ინგლისს შორის, ისე რომ ტრანსვაალი დამცირებული არ გამოვიდესო. გაზეთები დასძენენ, რომ მაკრუმს ძლიერ დიდი მეგობრული განწყობილება ჰქონდა კრიუგერთანო და, ომის გამოცხადების შემდეგ, ინგლისმა, მისი სურვილის წინააღმდეგ, მიანდო მას ბრიტანიის ქვეშევრდომთა ინტერესების დაცვა მხოლოდ იმ განზრახვით, რომ ტრანსვაალელები დარწმუნებოდნენ, რომ ინგლისსა და ამერიკას შორის კავშირი არის დადებულიო.

— ბრიუსელში ამბავი მიუღიათ, რომ პრეზიდენტი კრიუგერი ბრძოლის ველზედ აპირებს წასვლასო.

—

**ინგლისი.** ეროვნულ ფედერაციის მთავარმა კომიტეტმა 1 დეკემბერს მანჩესტერში გამართა კრება, რომელმაც, სხვათა შორის, სამხრეთ აფრიკის საქმეთა შესახებაც უნდა გამოსთქვას თავისი აზრი. ამის გამო გაზ. „Daily News“-ი ახასიათებს ლიბერალურ დასის წევრთა სხვა-და-სხვა შეხედულებას ინგლის-ტრანსვაალის განხეთქილებაზედ. გაზეთის სიტყვით, ლიბერალთა შორის ამ საგნის შესახებ სამგვარი მიმართულებაა. პირველს გუნდს შეადგენენ ისინი, რომელნიც ჰფიქრობენ, რომ ინგლისს ომი არ უნდა დაეწყო პრეზიდენტის კრიუგერის ულტიმატუმის შემდეგაც-კი და ომის დაწყების შემდეგაც ლიბერალურ დასს დაუყოვნებლივ უნდა ეხმარა ყოველგვარი ღონისძიება, რომ ინგლისი შერიგებოდა ტრანსვაალს. გაზეთის სიტყვით, ზოგიერთნი ამ აზრს ადგიან იმიტომ, რომ, მათის აზრით, ყოველი ომი უსარგებლოა და მავნებელი, ზოგიერთებიც იმიტომ, რომ ეს ომი „ძმათა მომაკვდინებლად“ მიაჩნიათ და „ღვთის უსიამოვნო“ საქმედ. ამ გუნდის მოთავედ და ხელმძღვანელად ითვლება ცნობილი სტედი. მეორე გუნდს შეადგენენ ის ლიბერალები, რომელნიც ჰფიქრობენ, რომ კრიუგერის ულტიმატუმის შემდეგ ომი აუცილებელი იყო, მაგრამ ინგლისის მთავრობას ულტიმატუმამდე საქმე არ უნდა მიეყვანა და ომიც აღარ მოხდებოდაო. ამ აზრის წარმომადგენელია ლიბერალურ დასის ლიდერი საზოგადოებათა პალატაში კემპელ ბანერმანი. მაგრამ ამ უკანასკნელ დედა აზრის მომხრენიც განსხვავ-

დებიან ერთმანეთისაგან: 1) ერთნი ჰფიქრობენ, რომ მთავრობამ შესაფერისი დრო ვერ ამოირჩია უიტლანდიორებისათვის მფარველობის გასაწევად; 2) მეორენი იმ აზრს ადგიან, რომ მთავრობას დროებით უკან უნდა დაეწია, როცა დაინახა, რომ ომი მოხდებათ; 3) მესამეთა აზრით, ინგლისის მთავრობას უნდა შეეწყნარებინა კრიუგერის წინადადება იმის შესახებ, რომ რომელ უცხოელსაც სურს ტრანსვაალის მოქალაქობრიული უფლებების მიღება, წინდაწინვე შვიდი წელიწადი მაინც უნდა იცხოვროს ტრანსვაალშიო; 4) მეოთხენი კიდევ იმას ჰფიქრობენ, რომ ლიბერალების ხელში რომ ყოფილიყო სამინისტრო, პრეზიდენტი კრიუგერი არ გაგვიჯიუტდებოდა და ომი თავიდგან აგვშორდებოდაო.

მესამე გუნდს ის პოლიტიკოსები შეადგენენ, რომელთა აზრით ინგლისის მთავრობის მოთხოვნილება განონიერი იყო და გხლანდელი ომი არა თუ მიუცილებელმა საჭიროებამ გამოიწვია, არამედ სამართლიან საქმესაც შეადგენს. ასეთი შეხედულების არიან: ლორდი როზბერი, ლორდი კიმბერლეი, ასკვიტი, ფოულერი და ედვარდ გრეი.

## დამაკვირდი

დედაკაცი და დუმილი—ორივე სახლის კუთვნილებაა.

ფრანგული ანდაზა

* * *

პატარძლის მოგვრა მით გვახარებს, რომ ჩვენს კერას ვმატებთ ახალს მადას, ჯერეთ მცირეს და პატარას და შემდეგში-კი დედაბოძსა და ბურჯს სახლისას.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან.

(ამოკრებილი ამბები)

ექიმები ამბობენ, რომ კაცისათვის დღე-ღამეში საჭიროა რვა საათის ძილიო. მაგრამ არიან ისეთნიც, რომელთათვის ამაზედ ნაკლები ძილიც საკმაოა. მკურნალს ჯემს სოიერს მრავალი მაგალითი მოჰყავს ამისა. ოქსფორდელი ქიმიკოსი, რომელმაც 82 წელიწადი იცხოვრა, 5 საათზედ მეტს არ იძინებდა და ყოველთვის დილის 3 საათზედ დგებოდა. ინჟენერი ბრიუნსლი დღე-ღამეში უმეტეს ნაწილად 20 საათს მუშაობდა, ეძინა-კი სულ 3—4 საათი. მაქს მიულერი მოგვითხრობს, ერთხელ ალექსანდრე ჰუმბოლტს ჰკითხეს, რამდენი საათი გძინავთო; მეცნიერმა მიუგო: სიბერის მოახლოვებისას უფრო მეტი მძინავს, ვიდრე ახალგაზდობისას მეძინა; წინად ორის საათის ძილი მყოფნიდა, ეხლა-კი 5—6 საათია საჭირო. ჰუმბოლტმა, როგორც ვუწყით, 89 წელიწადი იცოცხლა. ლიტტრეს დღე-ღამეში 5 საათზედ მეტი არ ეძინა. გარდაიცვალა ლიტტრე 80 წლისა. ერთ ფრანგულ სამეცნიერო ჟურნალში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი ძილის შესახებ. ავტორი წერილისა ამტკიცებს, სხვათა შორის, რომ საღამოთი ადრე დაწოლა და დილით ადრე ადგომა კარგი არ არისო. ასეთი ჩვეულება ბებრებს სჩვევიათ და იგი გადაგვარების მომასწავებელიაო. თავისს აზრის დასასაბუთებლად ავტორს ჩინელები მოჰყავს, რომელნიც, როგორც ძველი ხალხი, გადაგვარების გზას ადგიანო. სწორედ ამ ჩინელებსა აქვთ ჩვეულებად ადრე დაწოლა და ადრე ადგომა. ჩინეთის იმპერატორი მსურველთ დილის 2 საათზედ მიიღებს ხოლმე, სახელმწიფო საბჭოს კრება-კი დილის 3 საათზედ იწყობა. იმპერატორი დილის 10 საათზედ თითქმის ყველა საქმეებს ათავებს.

* * *

როგორც ერთი ნემეცური გაზეთი მოგვითხრობს, პარიჟელები ძალიან ცრუ-მორწმუნე ხალხი ყოფილა. პარიჟელებს ძალიან ეშინიანთ, მაგალითად, პარასკევისა და რიცხვის ცამეტისა. პარასკევსა და ცამეტში პარიჟელი არავითარ საქმეს არ დაიწყობს თურმე. მაგრამ მარტო ამას არ უფრთხიან პარიჟელნი. ძალიან ეშინიანთ მათ აგრეთვე ეგრედ წოდებულ „უბედურ საათებისაც". ასეთ საათებად ითვლება ორშაბათს დრო 7½ საათიდგან 9 საათამდე სამშაბათს საშიშს დროს შეადგენს 3-დგან 4 საათამდე; ხუთშაბათს—1—3 საათამდე, პარასკევს—9-დგან 11½ საათამდე და კვირას—4-დგან 6 საათამდე. გაზეთი ამბობს, რომ ამ საშიშ საათებში პარიჟის ცხოვრება შეჩერებულიაო. იმავე გაზეთის სიტყვით, რადგანაც ყველა ასეთის უბედურის საათების დახსომება ძნელია, პარიჟში მრავალი წიგნაკი იყიდება, რომლებშიაც აღნიშნულია ეს საათები და აწერილია ის, თუ ამ დროს კაცი რას უნდა ერიდოს და რას არ უნდა მოჰკიდოს ხელიო.

* * *

ამას წინად პარიჟში გარდაიცვალა გრაფინია კასტილიონე, რომელიც მეორე იმპერიის დროს პარიჟში უმშვენიერეს და ულამაზეს ქალად ითვლებოდა. გრაფინია კასტილიონე დაიბადა 1837 წელს ფლორენციაში. მამა გრაფინიასი, მარკიზი ოდოინი, ცნობილი დიპლომატი იყო. თავისი ქალი ოდოინმა თხუთმეტის წლისა მიათხოვა, გრაფ კასტილიონს, პიემონტელ აზნაურს. 1857 წელს გრაფინია თავისის ქმრით პარიჟში გადასახლდა, სადაც გრაფინიას მალე გაუვარდა ლამაზის ქალის საჴელი. როდესაც იმპერატორს წარუდგინეს, ეს უკანასკნელი საოცრად გაჰკვირდა და განცვიფრდა გრაფინიას სილამაზისაგან. იმპერატორი ამის შემდეგ ყოველთვის მოწყალე თვალით უყურებდა ლამაზს გრაფინიას. სხვები კიდევ თავს ევლებოდნენ. ყველანი, უმაღლესი და წარჩინებული მოხელენიც-კი, სცდილობდნენ ლამაზის ქალის გულის მოგებას. ახალგაზდა კავალრებისაგან ხომ მოსვენება არა ჰქონდა. სამაგიეროდ სხვა ლამაზს ქალებს პირივით სძულდათ გრაფინია, თუმცა ამავე დროს სცდილობდნენ ყველაფერში მიებაძნათ იმისთვის: ისეთსავე ტანისამოსს იცვამდნენ, როგორსაც გრაფინია, ისევე ეჭირათ თავი, როგორც იმას და სხვა. ყოველ დღე გაზეთების ფურცლები აჭრელებული იყო გრაფინიას ამბებით. როგორც ამბობდნენ, გრაფინია დიპლომატიურ საქმეებშიაც გულმხურვალე მონაწილეობას იღებდა; სილამაზისა და მოხერხებულობის წყალობით მან ბევრი რამ გააკეთა თურმე თავისს სამშობლოს იტალიის სასარგებლოდ. ფულიც გამოულევლად ჰქონდა გრაფინიას, ანკი რატომ არ ექნებოდა, როდესაც იმის მახლობელ მეგობართა შორის ისეთი მდიდრებიც ითვლებოდნენ, როგორიც იყვნენ ბარონი ჯემ როდშილდი და ბანკირი შარლ ლაფიტტი, სიმამრი გენერალის გალიფესი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 დეკემბერი

**ოდესსა.** თავისუფალი ფლოტის გემით „ეკატერინოსლავით" მანჯურიაში გაემგზავრა სანიტარული კომისია შავს ჭირთან საბრძოლველად.

**ბერლინი.** გაზეთები იუწყებიან, რომ 8 დეკემბერს მეტუენმა მოინდომა სამხრეთისაკენ გასვლა თავისი ჯარით, მის შემდეგ, როდესაც კრონიემ რკინის გზის ლიანდაგი დაშალა მდ. მოდდერის ჩრდილო ნაპირებზე. მეტუენი უკუ აგდეს და ყოველი მხრიდგან შემორტყმულ იქმნა მტრის ჯარით. რკინის გზის დ დეპეშის მიმოსვლა ორანჟეს მდინარის გაღმა შეწყვეტილია.

**ლონდონი** გაზ. „Daily Mail"-ის ცნობას, რომ ვითომ ბულლერმა მდ. ტუგელი განვლო, არ უჯერებენ და სიცრუედ სთვლიან.

**პარიჟი.** უმაღლესმა სასამართლომ მოისმინა ახალი მოწმეების ჩვენება ფორტ შაბროლის შესახებ. აქამდე დამალული დეპუტატი გევერი დღეს გამოცხადდა სასამართლოში. კრება დაიხურა.

**ნოვოჩერკასკი.** ყინვამ 20° აიწია. ფრინველი იყინება. ქვა-ნახშირი ერთნახევრათ გაძვირდა შარშანდელ ფასებთან შედარებით.

**მოსკოვი.** დღეს გრაფი ლ. ნ. ტოლსტოი ქუჩაში სცირნოლდა.

**ვაშინგტონი.** მანილიიდგან გენერალი ოტტისი დეპეშით იუწყება, რომ გუშინ დილი„ ტყვიით სასიკვდილოდ დასჭრეს გენერალი ლაუტონი, როდესაც იგი სცდილობდა სანმატეოდგან მეამბოხენი განედევნა.

**ლონდონი.** 18 დეკემბერს გენერალმა ფრენჩმა დაუწყო სროლა გიოფონტენის ფერმას, რომელიც სამი მილით მოშორებულია მოწინაამდეგის ბანაკიდგან. 5.000 იარდის მანძილზე ბურებმა სროლითვე გასცეს პასუხი და შემდეგ იერიში მიიტანეს ინგლისელებზე. ფრენჩმა უბრძანა უკან დახევა, რადგან რეკოგნოსციროვკის მიზანს მიაღწია.

**ლორენცო მარკეზი.** ხმა დადის, ვითომ კოლენზოსთან ბურებმა აიღეს 13 ურემი, სამხედრო საგძალით დატვირთული.

**ალიკანტე.** ნისლისა გამო ატლანტიკური გემი „პერსეო" დაეჯახა საფრანგეთის გემს „მენიეს", უკანასკნელი ჩაიძირა. ეკიპაჟი გადარჩენილ იქმნა. გემი „პერსეო" ძალიან დაზიანდა, და როგორც არწმუნებიან მისი რამდენიმე მგზავრი და მატროსნი დაიხრჩნენ. ყველა ისინი იტალიელები არიან. „პერსეო" ალიკანტეში მოვიდა.

პეტერბურგის ბირჟა, 7 დეკემბერი.

| | მყიდველის. | გამყიდველის | გარიგების |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5% მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 217¼ | — „ | — „ |
| 3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — „ | — „ | 93 |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — „ | — | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| 4½% იმავე ბანკისა | — „ | 90 „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — „ | — „ | — „ |
| 4½% იმავე საზოგადოებისა. . . | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | 322 | — „ | — „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | „ — | — „ | 280 |

## წერილი რედაქციის მიმართ

წავიკითხეთ მადლიანის აზრითა და სურვილით სავსე წერილი „ქართული მუსიკა" ჩვენის მოძმისა ბ-ნ ფ. ქორიძისა „ივერიის" მე-261 №-ში. მაგ წერილმა განგვიმტკიცა რწმენა, რომ ჩვენი სამშობლო საერო და სასულიერო კილოები ადრე თუ გვიან ეღირსება ნოტებზედ დაწერასა და აღბეჭდვას. მოვახსენებთ ამასთანავე ორი მანათი იმ წმინდა საქმისათვის, რომლისაც შესდგომია ბ-ნი ქორიძე. გვრწამს, რომ ესე ჩვენი წვლილი შექმნება საფუძვლად მაგ დიადის საქმის შესრულებასა და ჩვენ მოძმეთ გამოიწვევს საკეთილო საქმის ხელის მომართვისათვის.

ანჩისხატის ტაძრის მღ. პ. კარბელაშვილი

კარის წმ. გიორგის ეკკლესიის მღ. ა. მოლოდინოვი


# განცხადებანი

ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის მაზრის **შავის ქვის მწარმოებელთა კრების საბჭო** ამით აცხადებს, რომ იჯარით უნდა გასცეს სამრეწველო გზათა შეკეთება შავის ქვის მადნებსა და დ. ჭიათურას შუა. ვისაც ჰსურს ამ გზების შეკეთება იჯარით აიღოს, შეუძლიან საბჭოს სადგომში, ქუთაისში, გაიცნოს ყოველივე წვრილმანი ამ საქმისა და აგრეთვე თავისი პირობა წერილობით წარუდგინოს საბჭოს.

(3—6.—1)

# განცხადება

ამიერ-კავკასიის რკინის გზისა ამ გზის ტფილისის საავადმყოფოსთვის საჭირო სურსათის წარდგენის საქმის იჯარით გაცემის შესახებ.

**ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობა** აცხადებს საყოველთაოდ, რომ 1899 წლის 28 დეკემბერს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობის სადგომში, ტფილისს, ელისაბედის ქუჩაზედ, დანიშნულია **ვაჭრობა** ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოსთვის საჭირო სურსათის წარდგენის საქმის იჯარით გასაცემად ერთის წლის ვადით. განცხადებანი დაბეჭდილ კონვერტებით უნდა წარუდგინოს.

იმათ, ვისაც ჰსურთ მონაწილეობა მიიღონ აღნიშნულ ვაჭრობაში უნდა წარადგინონ თავიანთი განცხადებანი ფასებთან ერთად არა უგვიანეს შუადღის 12 საათსა 1899 წლის 28 დეკემბრისა. განცხადებასთან უნდა იყოს: წესები ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებისა და იჯარის პირობანი.

ამას გარდა, განცხადებანი უზრუნველ ყოფილ უნდა იქნენ გირაოთი, რომელიც უნდა უდრიდეს განზრახულ იჯარის 5%-ს; თვით ეს გირაო შეტანილ უნდა იქმნას იმ რიგით, რა რიგიც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების შესახებ წესდებაშია აღნიშნული.

ამ წესების ეგზემპლიარი მსურველთ ფოსტით შეუძლიანთ მიიღონ, ფოსტითვე გაიგებენ დაწვრილებით პირობებსა და იმ ცნობებს, თუ რა სურსათია საჭირო. მსურველთ ეს ცნობები პირადაც შეუძლიანთ შეიტყონ ყოველ დღე, კვირა-უქმე დღეებს გარდა 12-დგან 2 საათამდე რკინის გზის გამგეობის სამატერიალო ნაწილის კანცელარიაში.

ვაჭრობის შედეგი უნდა განხილულ იქმნას გზის გამგეობის საბჭოს მიერ, რომელიც გადასწყვეტავს, იჯარა კერძო კაცებს გადასცეს, თუ იმ ფირმებს, რომელნიც უფრო საუკეთესო პირობით იკისრებენ იჯარის აღებას.

(3—6.—3)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




## ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

## „კვერცხის რძე"

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე" არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მეჭეჭებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ჭიქა —2 მან., პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ნიკოლაი პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—150—52)



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა ბ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо

**М. МИРИМАНЯНА.**

Тифлисъ. Дворцовая ул.

(24—5—21)


Дозволено цензурою, Тифлисъ 9 Декабря 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე